**მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**განკარგულება №14**
**2021 წლის 05 აპრილი**
**ქ. მარტვილი**

**მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ივლისის №11 დადგენილების 55-ე მუხლის თანახმად

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო **განკარგულება:**
დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალურის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი-ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე/
3. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი-ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე/
4. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების (პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების-სამსახურის უფროსების) ანგარიშის შეფასება 2020 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;
/მომხსენებელი-ქეთევან ბაჩილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსი/
5. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

/მომხსენებელი-ქეთევან ბაჩილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსი/

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ალექსი გაბისონია